ააიპ აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი
ბრძანება № 29 სექტემბერი, 2025 წელი

„ალექსანდრე (საშა) ბერულავას სახელობის ჟურნალისტური პრემიის“ ფარგლებში 2024–2025 წლების განაცხადების შეფასების კომისიის დებულება და საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ააიპ აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი (შემდგომში – „ცენტრი“) ქმნის დამოუკიდებელ სათათბირო–კოლეგიურ ორგანოს – განაცხადების შეფასების კომისიას (შემდგომში – „კომისია“).

1.2. კომისია საქმიანობას ახორციელებს საქართველოსა და აფხაზეთის ა/რ მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტების, წინამდებარე დებულებისა და ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამების დებულებების საფუძველზე.

1.3. კომისია იქმნება და მოქმედებს უვადოდ ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. მისი ლიკვიდაცია, რეფორმირება ან საქმიანობის წესის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ დირექტორის ახალი ბრძანებით.

1.4. კომისიის შემადგენლობა დამტკიცდება ცენტრის დირექტორის ბრძანებით. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს ანალიტიკური სამსახურის მედია–მონიტორინგის ხელმძღვანელი, გულიადა ჭკადუა.

1.5. კომისიის ძირითადი მისამართია: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15ა, II სართული. კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით სხდომების ჩატარება შესაძლებელია სხვა მისამართზეც.

მუხლი 2

კომისიის მიზნები

კომისიის მთავარი მიზანია:

2.1. კონკურსში წარმოდგენილი განაცხადების სამართლიანი განხილვა და შეფასება, როგორც საკონკურსო, ისე არასაკონკურსო წესით.

2.2. ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასების უზრუნველყოფა.

2.3. იმ მედია–ნამუშევრების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობს აფხაზეთის თემატიკის პოპულარიზაციასა და საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას.

2.4. ნდობის აღდგენის ხელშეწყობა ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის, სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის მხარდაჭერის გზით.

2.5. იმ ჟურნალისტების გამოვლენა და დაფასება, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის საკითხების გაშუქებაში (პრემია შეიძლება მიენიჭოს გარდაცვლილ ჟურნალისტსაც).

2.6. ცენტრის მიზნობრივი პროგრამების ეფექტიანი განხორციელების მხარდაჭერა დადგენილ ვადებში.

მუხლი 3.

კომისიის უფლებამოსილებები და მოვალეობები

3.1. კომისია განიხილავს განაცხადს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სრულად შეესაბამება კონკრეტული პროგრამის დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.2. დოკუმენტების ნამდვილობაზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.

3.3. წარმოდგენილი მასალების პირველადი გადამოწმება ხორციელდება ცენტრის სტრუქტურული ერთეულების მიერ, რის შემდეგაც ხდება მათი შეფასება კომისიის სხდომაზე.

3.4. კომისია თავად განსაზღვრავს სხდომების სიხშირესა და ხანგრძლივობას.

3.5. გადაწყვეტილებები მიიღება კონკრეტული პროგრამის დებულებებით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

3.6. კომისია უფლებამოსილია განაცხადი არ განიხილოს ან უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღოს, თუ: ა) განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს პროგრამის კრიტერიუმებს. ბ) თუ განმცხადებელი ააიპ აფხაზეთის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის მოქმედი თანამშრომელია.

3.7. განაცხადის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2 კვირისა.

3.8. სხდომა ჩატარდება, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

3.9. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით. თითოეულ წევრს გააჩნია ერთი ხმის უფლება.

3.10. კომისია დამოუკიდებელია და დაუშვებელია მისი საქმიანობაში ჩარევა.

3.11. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, კომისიის წევრმა უნდა განაცხადოს აცილება, თუ განმცხადებელი მისი ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად). აღნიშნული აისახება სხდომის ოქმში.

3.12. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე, ყველა დამსწრე წევრი და მდივანი.

3.13. მიღებული შედეგები საბოლოოდ გადაეცემა ცენტრის დირექტორს დასამტკიცებლად.

3.14. კომისიას შეუძლია გაასაჯაროვოს სხდომის შედეგები, პირადი მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით.

მუხლი 4.

განაცხადების შეფასების სისტემა

კომისია თითოეულ ნამუშევარს აფასებს ბალებზე დაფუძნებული სისტემით, შემდეგი კრიტერიუმებით:

1. თემატური შესაბამისობა – 20 ქულა
2. ობიექტურობა და სიზუსტე – 20 ქულა
3. ჟურნალისტური პროფესიონალიზმი – 15 ქულა
4. ინოვაციურობა და კრეატიულობა – 15 ქულა
5. საზოგადოებრივი ეფექტი – 20 ქულა
6. ტექნიკური ხარისხი – 10 ქულა

ჯამი: 100 ქულა

• თითოეულ წევრს გააჩნია შეფასების ფურცელი, სადაც ასახავს ქულებს თითოეულ კრიტერიუმში. • საბოლოო შედეგი გამოითვლება კომისიის წევრთა ქულების საშუალო არითმეტიკით. • გამარჯვებული ნამუშევარი არის ის, რომელიც ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიიღებს. • თანაბარი ქულების შემთხვევაში, გადამწყვეტია „საზოგადოებრივი ეფექტის“ კრიტერიუმი.

მუხლი 5.

კატეგორიები

კომისია გამოავლენს:

5.1. საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტს აფხაზეთის თემატიკაზე.

5.2. საუკეთესო საგაზეთო სტატიას ან საინფორმაციო სააგენტოს მიერ მომზადებულ მულტიმედია მასალას აფხაზეთის თემატიკაზე.

5.3. საუკეთესო ნამუშევარს (სიუჟეტი, რადიო–რეპორტაჟი, სტატია), რომელიც ხელს უწყობს ქართველ–აფხაზ ხალხთა შერიგებასა და ნდობის აღდგენას.

5.4. ჟურნალისტს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზეთის თემატიკის გაშუქებაში.

5.5. საჭიროების შემთხვევაში, კატეგორიების ჩამონათვალის ცვლილება ან გაფართოება შესაძლებელია კომისიის გადაწყვეტილებით და ცენტრის დირექტორის დამტკიცებით.

მუხლი 6.

დასკვნითი დებულებები

6.1. კომისიის დებულებაში ცვლილებები ან დამატებები ხორციელდება ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.